ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5223284

ნომერი: AR1782765

თარიღი : 19.10.2020

გაცემის თარიღი : 14.12.2020

გაცნობის თარიღი : 14.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ტარიელი , N 13 , ქუჩა ტარიელის N13-ის მიმდებარე ტერიტორია.; ქალაქი თბილისი , ქუჩა ტარიელი , N 9 , (ნაკვეთი N17/14) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ტარიელი , N 17 ; ქალაქი თბილისი , ტარიელის ქუჩა,(შეს) N15 (15ბ) ; ქალაქი თბილისი , ტარიელის ქ.N15-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ტარიელის , (შეს) N15 (15ბ) მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ბოჭორიშვილი პ/ნ 41001027703
- თბილისი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული

ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, ტარიელის შეს. N13, ტარიელის ქ. N13-ის მიმდებარე ტერიტორია; ტარიელის ქ. N9 (ნაკვეთი N17/14); ტარიელის ქ. N17; ტარიელის ქ. (შეს.) N15 (15ბ); ტარიელის ქ. N15-ის მიმდებარედ; ტარიელის ქ. (შეს.) N15 (15ბ) მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N44, 10.12.2020წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი, რეკომენდაცია: გათვალისწინებული იქნეს უბნის მასშტაბი, მორფოლოგია, გეგმარებითი და არქიტექტურული მახასიათებლები. მოცულობა საკმაოდ დიდია არსებული, ძალზედ მცირე და ვიწრო განაშენიანებისათვის. სასურველია ფორმების დახვეწა და შემსუბუქება; აუცილებელია მოძებნილი იქნას გადაწყვეტა, რომელიც ორგანულად ჩაეწერება არსებულ ურბანულ ქსოვილში.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ნ. ბოჭორიშვილს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ნ. ბოჭორიშვილს, ქ. თბილისში, ტარიელის შეს. N13, ტარიელის ქ. N13-ის მიმდებარე ტერიტორია; ტარიელის ქ. N9 (ნაკვეთი N17/14); ტარიელის ქ. N17; ტარიელის ქ. (შეს.) N15 (15ბ); ტარიელის ქ. N15-ის მიმდებარედ; ტარიელის ქ. (შეს.) N15 (15ბ) მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.